დეპრესიის, შფოთვის და სტრესის მაჩვენებელი აუტიზმის სპექტრის დარღვევებისა და განვითარების ეტაპების დაყოვნების მქონე ბავშვების მშობლებში

ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

კლინიკური ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

ნინო შველიძე

სამაგისტრო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

განაცხადი

როგორც ნაშრომის ავტორი, ვადასტურებ, რომ წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ჩემს დამოუკიდებლად შესრულებულ ორიგინალურ კვლევას. მასში გამოყენებული ნებისმიერი სხვა ავტორის ნაშრომი თუ ციტატა შესაბამისი აკადემიური წესების დაცვითაა მითითებული. ნაშრომი არ შეიცავს იმგვარ მასალას, რომელიც მანამდე გამოქვეყნებულია, განიხილება გამოსაქვეყნებლად ან წარდგენილია დასაცავად სხვა ავტორის სახელით.

20 ივნისი, 2025 წელი

აბსტრაქტი

მშობლების ფსიქიკური ჯანმრთელობა მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დგება, როდესაც ისინი ზრდიან ბავშვებს, რომლებსაც აქვთ ნეიროგანვითარების დარღვევები, როგორიცაა აუტიმის სპექტრის დარღვევა (ASD) ან განვითარების ეტაპების დაყოვნება (DD). უცხოური კვლევების მიხედვით, ასეთ შემთხვევებში მშობლებს ხშირად აღენიშნებათ სტრესი, შფოთვა და დეპრესია. საქართველოში კი ამ მიმართულებით კვლევები ძირითადად მხოლოდ აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლებს ეხებოდა, განვითარების ეტაპების დაყოვნებისა ან ამ ორი ჯგუფის შედარება ნაკლებად განხორციელებულა.

კვლევა ჩატარდა 61 მშობლის მონაწილეობით, რომელთაგან 42 ჰყავს აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვი და 19 ჰყავს განვითარების ეტაპების დაყოვნების მქონე ბავშვი. ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა შემდეგი სკალები: აღქმული სტრესი (PSS), გენერალიზირებული შფოთვა (GAD-7) და ბეკის დეპრესიის სკალა. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა არაპარამეტრული სტატისტიკური მეთოდით (Mann-Whitney U) ტესტით, ვინაიდან ჯგუფებს შორის მონაცემთა რაოდენობა არ იყო თანაბარი და პარამეტრული ტესტისთვის საკმარისი.

მიღებული შედეგების მიხედვით, არც ერთ ცვლადში - სტრესი, შფოთვა და დეპრესია - არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ორ ჯგუფს შორის. მიუხედავად იმისა, რომ დეპრესიის შემთხვევაში შეინიშნებოდა შედარებით დაბალი p-მნიშვნელობა ($p=0.077$), მან მაინც ვერ დაადასტურა ჰიპოთეზა.

მიუხედავად არასტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებებისა, შედეგები ხაზს უსვამს მშობლების ფსიქიკური ჯანმრთელობის მნიშვნელობას და საჭიროებას სიღრმისეული სანალიზისა. კვლევის შეზღუდვებიდან გამომდინარე, რეკომენდირებულია მომდევნო, ფართომაშტაბიანი კვლევები.

Abstract

Parental mental health faces serious challenges when raising children with neurodevelopmental disorders such as autism spectrum disorder (ASD) or developmental delay (DD). According to international research, these parents often experience high levels of stress, anxiety and depression. In Georgia, most studies have focused only parents of children with autism, while parents with developmental delay or comparisons between these two groups have been rarely studied.

This research included 61 parents: 42 have children with ASD and 19 have children with DD. To assess their psychological condition, the following scales were used: perceived stress scale (PSS), generalized anxiety disorder scale (GAD-7) and Beck Depression Inventory. Because the two groups were not the same size and not meet the conditions for parametric tests, the data were analyzed using a non-parametric method (Mann-Whitney U) test.

The results showed no statistically significant differences between the two groups in terms of stress, anxiety or depression. Although the depression scale had a relatively lower p-value ($p=0.077$), it still did not confirm the hypothesis.

Although the differences were not statistically significant, the results emphasize the importance of parental mental health and the need for deeper analysis. Due to the limitations of this study, future large-scale research is recommended to better explore this issue.

მადლობა

განსაკუთრებული მადლიერებით აღვნიშნავ ჩემს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ნატა მეფარიშვილს, რომლის მხარდაჭერამ, დროულმა რეკომენდაციებმა, რჩევებმა და დეტალურმა უკუკავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ნაშრომის ფორმირებასა და განხორციელებაში.

ასევე მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, ვინც რომელიმე ეტაპზე პირდაპირი ან ირიბი მხარდაჭერით ხელი შემიწყო კვლევის იდეის გაღრმავებაში, თემის განვითარებასა და შესრულებაში.

განსაკუთრებულად მადლიერი ვარ იმ მშობლების, ვინც მონაწილეობა მიიღეს კვლევაში — ღიად და გულწრფელად გაიზიარეს თავიანთი განცდები, შეხედულებები და გამოცდილება. მათი წვლილი ფასდაუდებელია როგორც კვლევის, ისე ჩემი პიროვნული და პროფესიული განვითარებისთვის.